

რეზიდენტობა, როგორც სტატისტიკის ფუნდამენტური კატეგორია

ნანა ასლამაზიშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ეროვნული ბანკის
მონეტარული სტატისტიკის
განყოფილების უფროსი
მარიამ ღათაშვილი
სტუ-ს ბაკალავრი

ისტორიამ დაადასტურა, რომ ყოველი ახალი კრიზისი ფინანსურ და ეკონომიკურ მონაცემებზე ახალ მოთხოვნებს აყალიბებს. ასე იყო „დიდი დეპრესიის“ (1929–1933 წწ.) შემდეგ, რაც გახდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შექმნის საფუძველი, და ასე გრძელდება დღემდე. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების კრიზისებს მოჰყვა მთელი რიგი ახალი ინიციატივები სტატისტიკური მონაცემების გაფართოების, მათი გამჭვირვალობის ამაღლების, დროულობის დაჩქარებისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. აქ იგულისხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ისეთი ინიციატივები, როგორებიცაა მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი (მარტი, 1996) და მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემა (დეკემბერი, 1997).

დღეისათვის ყველაზე ბოლო სიახლე ეკონომიკურ და ფინანსურ ინფორმაციულ სივრცეში: საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მისი სტატისტიკის დეპარტამენტის ძალისხმევით, რომელიც დაუყოვნებლივ გამოეხმაურა დიდი ოცეულის ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების მმართველთა ინიციატივას მონაცემთა გაფართოების თაობაზე (2009 წ.); შეიქმნა ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის უწყებათაშორისი ჯგუფი, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის, ევროპის ცენტრალური ბანკის, ევროსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტის და მსოფლიო ბანკის მონაწილეობით. ამ ჯგუფის მუშაობის შედეგად 2009 წლის აპრილში გაშვებულ იქნა ახალი ვებ-გვერდი – www.principalglobalindicators.org. გვერდი მოიცავს ეკონომიკური და ფინანსური განვითარების ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს დიდი ოცეულის ქვეყნების და აგრეთვე ფინანსური სტაბილურობის საბჭოს წევრი ზოგიერთი ქვეყნის მიხედვით.

სტატისტიკა საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური მოვლენებისა და

პროცესების რაოდენობრივი ასახვაა, საზოგადოება კი ურთულესი ორგანიზმია. აქედან გამომდინარე, სტატისტიკაც ისეთივე რთული და კომპლექსური საქმიანობაა, როგორიც მისი შესწავლის ობიექტი.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში სტატისტიკის მომხმარებელი არ არის განებივრებული საქმიანობის ამ სფეროს ნიუანსების ამსახველი ინფორმაციით, იმ სიახლეების გაცნობით, რაც მიმდინარეობს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი ქვეყნების სტატისტიკური საქმიანობით დაკავებული ორგანოები ძალისხმევას არ ზოგავენ საზოგადოებაში სტატისტიკური წიგნიერების გასავრცელებლად. მთელ მსოფლიოში სტატისტიკური წიგნიერების საკითხებს ეძღვნება სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის სპეციალური „სტატისტიკური წიგნიერების საერთაშორისო პროექტი“, რომლის მიზანია სტატისტიკის მომხმარებელი შეაჩვიოს სტატისტიკურ აზროვნებას, ასწავლოს კითხვების სწორად დასმა და სტატისტიკური მონაცემების სწორი ინტერპრეტირება, ახსნას სტატისტიკის მნიშვნელობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ასწავლოს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

ამ სტატიის მიზანია დავიწყოთ სტატისტიკის მომხმარებლისათვის და ამ დარგით დაინტერესებული მკითხველისათვის საინტერესო სიახლეების, აგრეთვე ნაკლებად ცნობილი საკითხების მიწოდება, რათა მათ სრულყოფილად შეძლონ დიდძალ ინფორმაციულ ნაკადებში ორიენტირება. ვაპირებთ გამოვაქვეყნოთ სტატისტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიების სერია და მოვუწოდებთ სტატის-

ტიკის სპეციალისტებს მხარი დაგვიჭირონ ამ საქმეში თავიანთი პუბლიკაციებით, რათა ერთობლივი წვლილი შევიტანოთ სტატისტიკური წიგნიერების გავრცელების საჭირო საქმეში. ამ ინიციატივის რეალიზებაში დიდად დაგვეხმარება სტატისტიკის მომხმარებელთა და ამ ჟურნალის მკითხველთა სურვილები და გამოხმაურებები.

„ჯერ თაყაშის ნესაბი უნდა ისწავლო...“ (ალბერტ აინშტაინი)

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში სტატისტიკის შესახებ საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული აზრი გვეუბნებოდა, რომ არსებობდა „... ტყუილი, დიდი ტყუილი და სტატისტიკა“ (მარკ ტვენი). თუმცა მოგვიანებით გაჩნდა მოსაზრება, რომ ერთ მშვენიერ დღეს სტატისტიკა ისეთივე აუცილებელი იქნებოდა ღირსეულ მოქალაქეთათვის, როგორც წერა-კითხვის ცოდნა (ჰერბერტ უელსი). თანამედროვე ინფორმაციული საუკუნის მზარდი მოთხოვნები სტატისტიკის მიმართ ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს ამ სიტყვების ჭეშმარიტებას. თუმცა ბოლომდე არის თუ არა გაცნობიერებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სტატისტიკის წარმოების პრინციპების დაცვის ჭეშმარიტების საკითხი? არის საკითხები, რომლებიც საერთო ეკონომიკურ ხასიათს ატარებს და მათი ვიწროუწყებრივ ჭრილში განხილვა და გადაწყვეტა დაუშვებელია, რადგანაც ეს წარმოშობს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების განსხვავებული შეფასების საფრთხეს.

თანამედროვე სტატისტიკის წარმოების პრინციპული თავისებურებაა ეროვნული ეკონომიკის ცნების დამკვიდრება და მისი ერთ მთლიანობაში წარმოდგენა. ამ პრინციპის რეალიზაცია ხდება რეზიდენტობის ცნებისა და ეროვნული ეკონომიკის სექტორიზაციის აღიარებით.

ესა თუ ის ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობას. ის, თუ რა კრიტერიუმებს ეფუძნება რეზიდენტობის ცნების განმარტება, ფუნდამენტური საკითხია უტყუარი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკის წარმოებისათვის. ამ საკითხში „კანონმდებელი“ და მსოფლიოში აღიარებული ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიური საფუძველი – ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, რომლის მეოთხე განახლებული ვერსია 2008 წელს გამოქვეყნდა, საკმაოდ ვრცლად განმარტავს რეზიდენტობის ცნებას, რაც იძლევა პრაქ-

ტიკულად ნებისმიერი სტატუსის ეკონომიკური ერთეულის რეზიდენტობის დადგენის შესაძლებლობას.

პრაქტიკაში გვხვდება ქვეყნები, სადაც საგადასახადო მიზნებისათვის გამოიყენება რეზიდენტის განსხვავებული განმარტება, ვიდრე ეს ეროვნულ ანგარიშთა სისტემით არის განსაზღვრული. ასეა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაშიც, თუმცა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აქ შემოთავაზებული რეზიდენტის ცნების განმარტება. კოდექსის მე-2 თავის, მე-8 მუხლის, მე-20 პუნქტში გვითხულობთ, რომ რეზიდენტი არის „რეზიდენტი ფიზიკური პირი ან რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს საწარმო ან საქართველოს ორგანიზაცია)“.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთ წინა რედაქციაში, ჩვენი აზრით, სრულიად მიზანშეწონილად, აღნიშნული იყო, რომ „ამ კოდექსის ტერმინები და ცნებები, რომლებსაც აქვთ საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროს ტერმინებისა და ცნებებისაგან განსხვავებული მნიშვნელობა, გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო ურთიერთობების რეგულირებისას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. თუმცა ეს ჩანაწერი ახლა ამოღებულია, რაც ქმნის სტატისტიკის პრაქტიკაში რეზიდენტის ცნების ამ კოდექსში არსებული განმარტების საფუძვლობის შთაბეჭდილებას, და, სამწუხაროდ, ხშირად რეზიდენტობის ცნების განმარტების საჭიროებისას ეყრდნობიან სწორედ კოდექსის განმარტებას და არა იმას, რასაც მოითხოვს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და, მაშასადამე, ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიური საფუძველი.

მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე თავისებურება მისი გახსნილობა და ურთიერთდამოკიდებულებაა. ასეთ პირობებში, თუ ეკონომიკურ ერთეულთა უმეტესი ნაწილი ასოცირდება ერთ კონკრეტულ ეკონომიკასთან, გარკვეული ეკონომიკური ერთეულების ინტერესი რამდენიმე ეკონომიკასთან არის დაკავშირებული. ამდენად, თუ ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობას, პირველი რიგის ამოცანაა რეზიდენტის ცნების სწორად განმარტება, რაც ასე ადვილი არ არის.

ეკონომიკური ერთეული იმ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტი, რომელთანაც მას მყარი უპირატესი ეკონომიკური ინტერესები აკავშირებს. რას ნიშნავს მყარი ეკონომიკური ინტერესი? ეს არის მოცემული ეკონომიკის

შიგნით ადგილსამყოფელის, საცხოვრისის, წარმოების ადგილის ან სხვა უძრავი ქონების არსებობა, რომელიც დაკავებული აქვს ეკონომიკურ ერთეულს და აპირებს კვლავაც დაიკავოს იგი განუსაზღვრელი ან განსაზღვრული, მაგრამ ხანგრძლივი ვადით, მნიშვნელოვანი მასშტაბის ეკონომიკური საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელების მიზნით. საერთაშორისო შესადარისობის მიზნით, მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელების ხანგრძლივ პერიოდად 1 ან მეტი წლის ვადის დათქმა პირობითია და გაურკვევლობის თავიდან აცილებას ემსახურება.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (შ 2008) დეტალურად განმარტავს ეკონომიკური ერთეულების რეზიდენტობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ შემთხვევებს. კერძოდ:

ფიზიკური პირების რეზიდენტობა განისაზღვრება იმ შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისის ადგილმდებარეობის მიხედვით, რომლის წევრიც არის მოცემული ფიზიკური პირი და არა მისი სამუშაო ადგილის მიხედვით. ერთი შინამეურნეობის ყველა წევრი ერთი და იმავე ეკონომიკის რეზიდენტია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი კვეთენ საზღვარს სამუშაოსთან დაკავშირებით ან გარკვეული პერიოდის საზღვარგარეთ გატარების მიზნით. თუ მათი საზღვარგარეთ მუშაობის და ყოფნის ხანგრძლივობა იძლევა მათ მიერ უცხოეთში უპირატესი ეკონომიკური ინტერესის შეძენის საფუძველს, მაშინ ისინი წევრები მათი წარმოშობის შინამეურნეობის წევრობას.

ზოგიერთი შინამეურნეობის წევრები სხვადასხვა ზომით დაკავშირებულნი არიან სხვადასხვა ეკონომიკებთან დასაქმების, აქტივების ფლობის, მოქალაქეობის, მიგრაციის სტატუსის, შემოსავლების, საშემოსავლო გადასახადის, ხარჯების, ბიზნეს-ინტერესების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ასეთი წევრებისაგან შემდგარი შინამეურნეობა წარმოადგენს იმ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტს, რომელზედაც ისინი ინარჩუნებენ ან განზრახული აქვთ შეინარჩუნონ ძირითადი საცხოვრისი. მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ყოფნა ერთი წლის და მეტი პერიოდის განმავლობაში, ან ასეთის განზრახვა, საკმარისი პირობაა იმისათვის, რათა შინამეურნეობის საცხოვრისის მიეცეს ამ ეკონომიკურ ტერიტორიაზე მოცემული შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისის კვალიფიკაცია.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წინა გამოცემა (1993) არ ითვალ-

ისწინებდა შინამეურნეობების რეზიდენტობის განსაზღვრის ასეთ დეტალიზაციას. თუმცა თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს და 2008 წლიდან მოქმედებაში შესული ეს სახელმძღვანელო ამ პრობლემას თავს ნამდვილად ართმევს.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ის შემთხვევაც, თუ შინამეურნეობის რომელიმე წევრი წევრებს იმ ეკონომიკური ტერიტორიაზე ყოფნას (ცხოვრებას), რომლის რეზიდენტიც არის მისი შინამეურნეობა. ასეთ შემთხვევაში ეს ფიზიკური პირი აღარ ითვლება მოცემული შინამეურნეობის წევრად და მაშასადამე – რეზიდენტად.

შედარებით ადვილია საწარმოებისა და არაკომერციული ორგანიზაციების რეზიდენტობის გარკვევა. ასეთი ინსტიტუტები წარმოადგენენ იმ ეკონომიკის რეზიდენტებს, სადაც არიან კანონიერად დაფუძნებული და დარეგისტრირებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე არიან დაფუძნებული და განლაგებული მათი სათაო ორგანიზაციები.

ამდენად, ფიზიკური პირის რეზიდენტობა განისაზღვრება იმ შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისის ადგილმდებარეობის ქვეყნის მიხედვით, რომლის წევრადაც მიიჩნევა თავს მოცემული ფიზიკური პირი.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების კვალობაზე, მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტებს (მაგ., ფინანსურ ინსტიტუტებს, საჯარო და სამოქალაქო რეესტრის სამსახურებს, საგადასახადო უწყებას და ა.შ.) უხდებათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან მუდმივი ურთიერთობა და შესაბამისად მათი ამა თუ იმ სტატუსის განსაზღვრა. ამ უკანასკნელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემატური სწორედ ეკონომიკური ერთეულების რეზიდენტობის დადგენაა, რომლის სწორად განსაზღვრაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც პირველადი აღრიცხვის, ისე სტატისტიკური ანგარიშგების ხარისხი. თუმცა, ეკონომიკური ერთეულის რეზიდენტობის განსაზღვრის ეროვნული ანგარიშთა სისტემის მიერ აღიარებულ მიდგომებში გაუთვითცნობიერება სერიოზული დაბრკოლებაა სწორი პირველადი აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების წარმოების რთულ გზაზე. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ფინანსური თუ ადმინისტრაციული ორგანოები რეზიდენტობის განსაზღვრის კრიტერიუმად

ფიზიკური პირების შემთხვევაში მოქალაქეობას მიიჩნევენ, რაც პრინციპულად არასწორია და სერიოზულ ზიანს აყენებს სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხს. დღისათვის მსოფლიოში აღიარებული სტატისტიკური მეთოდოლოგიები ცალსახად მიუთითებს, რომ რეზიდენტობის განსაზღვრა მოქალაქეობის მიხედვით დაუშვებელია. ალბათ აღნიშნული ორგანოები უნდა მიეჩვიონ იმას, რომ ასეთი საკითხების გადაწყვეტისას კონსულტაციები გაიარონ კომპეტენტურ ორგანოებთან (რეზიდენტობის შემთხვევაში, მაგალითად, საქსტატთან). ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, ცოდნაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების საჭიროების იგნორირებაზე მიუთითებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფიზიკური პირების რეზიდენტობის დადგენა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის გამოცემაზე გარკვეულ სირთულეებთან მართლაც იყო დაკავშირებული იმის გამო, რომ საქმარისად დეტალურად არ იყო განსაზღვრული რამდენიმე ეკონომიკასთან დაკავშირებული ფიზიკური პირების კონკრეტული ეკონომიკისათვის მიკუთვნებისა და შესაბამისად, მათი რეზიდენტობის დადგენის ზუსტი კრიტერიუმი. მიგვაჩნია, რომ ეს ხარვეზი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის გამოცემაში აღმოფხვრილია და შესაბამისმა ორგანოებმა ასევე უნდა აღმოფხვრან ამ კატეგორიის არასწორი ინტერპრეტაციის პრეცედენტები.

სოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა და სტატისტიკური ნიბნირაბა

უნდა ითქვას, რომ ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკიდან ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე ორიენტირება. რესურსების შეზღუდულობის რეალობიდან გამომდინარე, ეს არის განვითარების ერთადერთი სწორი ვექტორი, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს.

ტერმინი „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა“ პირველად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ გამოიყენა. ამ ტერმინის შემოღება განაპირობა ცოდნისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ადგილის აღიარებამ ამა თუ იმ ეკონომიკის განვითარებაში. შესაბამისად, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა განისაზღვრა, როგორც ეკონომიკა, რომელიც პირდაპირ ეფუძნება ცოდნასა და ინფორმაციის წარმოებას, გავრცელებასა და

გამოყენებას. შემდგომში ეს ტერმინი უფრო დაზუსტდა და განისაზღვრა, როგორც ეკონომიკა, სადაც ცოდნის წარმოება, გავრცელება და გამოყენება წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის, სიმდიდრის შექმნისა და დასაქმების ძირითად მამოძრავებელ ძალას.

სტატისტიკის როლი ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში ორმხრივია: ჯერ ერთი, სტატისტიკა საჭიროა იმისათვის, რათა სწორად განისაზღვროს ეკონომიკის განვითარების მიმართულებები, და მეორე, სტატისტიკა აუცილებელია ეკონომიკის ცოდნაზე დაფუძნების ხარისხის დასადგენად. თანამედროვე ეკონომიკური საზოგადოება (და არა მარტო) ერთმნიშვნელოვნად თანხმდება იმაზე, რომ ადამიანურ კაპიტალსა და ტექნოლოგიებში განვითარებული ცოდნა ეკონომიკური ზრდის სასიცოცხლო წყაროა. როგორია ცოდნის მატერიალიზების ხარისხი ადამიანურ კაპიტალში, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში? არის კი დაგროვილი ცოდნა საქმარის ინოვაციური იდეების გენერირებისათვის? როგორ განვსაზღვროთ ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები? განვითარების როგორი ტემპები გვესაჭიროება და რა მიმართულებით? გაუზვიადებლად შეიძლება ვთქვათ, რომ ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებულ ამ და უამრავ სხვა კითხვაზე პასუხი სწორედ სტატისტიკას აქვს, თუმცა ...

დღეისათვის სტატისტიკურ ლიტერატურაში ცნობილია სტატისტიკის რამდენიმე განმარტება, რომლებიც მის სხვადასხვა მხარეს ახასიათებს და ერთიანობაში ნათელს ხდის, თუ რას წარმოადგენს ეს ფენომენი და რას ემსახურება.

ჯერ ერთი, სტატისტიკა არის ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გარკვეულ მონაცემთა ერთობლიობა;

მეორე, სტატისტიკა არის ადამიანთა საქმიანობის სფერო, რომლებიც დაკავებული არიან მონაცემთა შეგროვებით, დამუშავებითა და გავრცელებით;

დაბოლოს, სტატისტიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს, მის თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში, გარკვეულ დროსა და სივრცეში.

ჩვენს ქვეყანაში ამ დარგის განვითარებისა და მისდამი დამოკიდებულების ტენდენციების ანალიზი, რაც ქართველი თუ უცხოელი

ექსპერტების ანალიზის საგანი არაერთხელ ყოფილა, საჭიროს ხდის ზემოაღნიშნული განმარტებები კიდევ ერთი მათგანით გამდიდრდეს. საქმე ის არის, რომ თანამედროვე გაგებით, სტატისტიკა მაშინ ამართლებს მის დანიშნულებას, როცა ის თანმიმდევრულია, ითვალისწინებს მემკვიდრეობითობას ამ სფეროში და ვითარდება დინამიკურად ინფორმაციაზე თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე. მთელ მსოფლიოში სტატისტიკის განვითარების ისტორია და აწმყო ამის ნათელი მაგალითია. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სტატისტიკა ადამიანთა საქმი-

ანობის უწყვეტი და თანმიმდევრული პროცესია, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი ასახვის, ამ უკანასკნელის ხერხებისა და მეთოდების სრულყოფისა და მაღალი ხარისხის ობიექტურ ინფორმაციაზე მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ. ასეთ სტატისტიკას ნამდვილად ექნება ღირსეული ადგილი ნებისმიერ ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში.

RESIDENCE AS A PRINCIPAL CATEGORY OF STATISTICS

NANA ASLAMAZISHVILI,
PhD in economics,
Head of Monetary Statistics Division
National Bank of Georgia
MARIAM DATASHVILI,
bachelor of GTU

History has demonstrated that each new crisis create new demands for financial and economic data. In this regard it is extremely important to think about the statistical literacy issues in Georgia to ensure that existing statistical data as well as the new ones are understood by users adequately. The author proposes to highlight statistical literacy issues by publishing significant contemporary statistical themes and opens discussion with fundamental national accounting criteria - residency. The detailed definition of the residency criteria given in new addition of System of National Accounts (*SNA 2008*) provides excellent opportunity to improve statistical data by reporters. So, it should be implemented as soon as possible.

The author calls for statisticians and other professional economists to support this initiative and extend it by own researches and publications in the field of statistics.